ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #1



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #2



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 117.7 მლნ ლარი (გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



გრაფიკებში #4-#5 მოცემულია 2021-2023 წლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #6 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

გრაფიკი #4



გრაფიკი #5



გრაფიკი #6



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 20 494.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 17%-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #7-ზე.

გრაფიკი #7



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**20494.9**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1991.3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	8761
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	304.7
საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	77.5
საერთო დანიშნულების ხარჯები	9360.4

2023 წლის განმავლობაში მერის **სარეზერვო ფონდიდან** გამოყოფილი თანხებით, 944,0 ათასი ლარი, დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ -ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების ელ.ენერგიის დავალიანების თანადაფინანსება;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;
- ქუთაისის საპატიო მოქალაქეების მატერიალური დახმარება;
- მოქალაქეთა ფინანსური დახმარება;

ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 27% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 31 803,0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #9-ზე.

გრაფიკი #9



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**31803**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11894.9
02 03	გარე განათება	3473.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	515.5
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	1896.1
02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	6011.5
02 07	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება	4875.1

02 09	სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	2073.7
02 10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	410.3
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	652.4

გრაფიკი #10



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ:

- საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება
- ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
- ზ. გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
- ავტომშენებლის გამზირზე ტროტუარების რეაბილიტაცია
- ჩეჩელაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- შოთა რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის ე.წ. კუნძლებისა და გამყოფი "ზოლის" რეაბილიტაციის სამუშაოები
- ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა
- ფანჯიკიძის ქუჩის ტროტუარების მოწყობა

- შ. რუსთაველის გამზირისა და ირ. აბაშიძის გამზირის კვეთაზე საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია

<u>მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია -</u> პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

- რუას ქუჩის N16ა-სთან, ნეკრასოვის ქუჩის N6-თან, ქალაქ ქუთაისში, ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევში საყრდენი კედლისა და მოაჯირის მოწყობა
- ჭაბუკიანის ქუჩის N3-ში ფერდის დამაგრების სამუშაოები
- კიკვიძის ქუჩის N8- სთან საყრდენი კედლის მოწყობა
- ისიანი ქუჩა N23 საყრდენი კედლის მოწყობა
- აკაკი წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევის დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია
- ბარნოვის ქუჩის #43-სთან დაზიანებული კედლის დემონტაჟისა და ახალი კედლის მოწყობა

<u>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება</u> - 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)

<u>ქალაქის კეთილმოწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

- აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია
- მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა.

- დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაცია
- ახალგაზრდობის გამზირის №86ა, №86, №84, №80, №74, №68, №66, №96 და №44 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია
- შოთა რუსთაველის გამზირის №102 -104 -ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაცია
- დუმბაძის ქუჩის №2 საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაცია
- ავტომშენებლის ქუჩის №3,5,7-9,11,15,17-ში მდებერე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია
- შადრევან-აუზების ექსპლოატაცია- რეაბილიტაცია

<u>მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები აღიჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით;
- განხორციელდა ავტობუსების გაჩერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

<u>სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება</u> - პროგრამის ფარგლებში შეკეთებულ იქნა სტიქიის შედეგადა დაზიანებული სახლების სახურავები, შესყიდულ იქნა გადასახური მასალა, ასევე განხორციელდა:

- გაფრინდაშვილის ქუჩის #10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის #3-ს შორის, ფერდდამცავი საყრდენი კედლის მოწყობა.
- მანდარიას ქუჩაზე დაზიანებული საფარისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის და შანიძის აღმართის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრაქტრუქტურის რეაბილიტაცია

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 9%-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 10 593,9 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #11-ზე.

<u>გრაფიკი #11</u>



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**10 593.9**
03 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7 147.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება	3 446.9

<u>ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში:

- დაიგვა და დასუფთავდა ქალაქის ქუჩები
- მოირწყა და ჩაირეცხა 1 625 000 კვ.მ. ქალაქის ქუჩა
- გადამუშავდა 120 ტონა საკომპოსტე მასალა
- მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული 155 ძირი ხე
- უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 1238 ძაღლი, 22 ლეკვი და 48 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი
- გაიწმინდა - 25 259 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხი
- ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 1308 ჭას და ცხაურს.

- ბალახისაგან გაითიბა - 846 830 მ2 ფართობი
- დამონტაჟდა - 32 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა
- "მუხნარის" ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა
- ნინოშვილის ქუჩისა და დ. აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთასთან მდებარე, ე.წ. "ნინოშვილის სკვერი"-ს რეაბილიტაცია

<u>გრაფიკი #12</u>



განათლება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 18%-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 21 093,2 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #13-ზე.

* გრაფიკი #13*



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

04 00	**განათლება**	**21 093.2**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	19 113.7
04 02	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 781.9
04 03	განათლების ღონისძიებები	197.6

სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება - პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- საბავშვო ბაღის მომსახურებით ისარგებლა 8102 ბავშვმა;

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- განხორციელდა #4 სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა და შიდა სივრცის რემონტი

- დაიწყო ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის და ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია

<u>განათლების ღონისძიებები</u> პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა:

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი
- ინტელექტუალური კონკურსი მოსწავლეთათვის
- მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა
- მოეწყო საზაფხულო ბანაკი საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის
- მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლების წლის საუკეთესო მასწავლებლებისა და „ამაგდარი“ პედაგოგების დაჯილდოება
- სტიპენდია მიიღო 6 სტუდენტმა

<u>გრაფიკი #14</u>



კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 21%-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 24 848.7 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #15-ზე.

გრაფიკი #15



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**24 848.7**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	13 769.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	10 812.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	266.9

<u>სპორტის სფეროს განვითარების</u> პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- დაფინანსდა ა(ა)იპ ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ - სულ ირიცხება 4210 სპორტსმენი
- ჩატარდა გ. ჩიქოვანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში
- თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა
- აკაკი კიბორძალიძისა და დავით ხახალეიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში
- გაიცა სტიპენდია 28 წარმატებულ ქუთაისელ სპორტსმენზე
- ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო სპორტული ინფრასტრუქტურა
- მოეწყო მინდვრის ჰოკეის მოედანი
- განხორციელდა კედელზე ცოცვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს
- განხორციელდა ლადო ასათიანის ქუჩის მე-5 ჩიხში მდებარე სტადიონის რეაბილიტაცია
- ხარებავას ქუჩაზე მოეწყო მინი ფეხბურთის მოედნი

<u>კულტურის სფეროს განვითარების</u> პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები:

- დაფინანსდა ა(ა)იპ „ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“, განათლება მიიღო 3879 მოსწავლემ
- ბეჭდვური გამოცემები („უქიმერიონი“, „მწვანეყვავილა“, „განთიადი“)
- განხორციელდა ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერა
- ჩატარდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი
- ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობის“ დღესასწაულის ჩატარება
- განხორციელდა საახალწლო ღონისძიებები
- ფოტოკონკურსი ილო

გრაფიკი #16



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 6%-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 7 498.0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #17-ზე.

გრაფიკი #17



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**7 498.0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2 101.5
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5 376.3
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	20.2

ჯანმრთელობის დაცვა - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“;
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა 70 ბენეფიციარი;
- სამედიცინო დახმარება 3314 ბენეფიციარი;

- ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა 48 ბენეფიციარი;
- ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება 48 ბენეფიციარი;

<u>სოციალური უზრუნველყოფა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 681 ბენეფიციარი
- სოციალური ღონისძიებები - 4331 ბენეფიციარი
- სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა 2463 ბენეფიციარი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 260 ბენეფიციარი
- ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“ – 750 ბენეფიციარი
- ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა 25 ბენეფიციარი
- შინმოვლა 148 ბენეფიციარი
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია 352 ბენეფიციარი
- მარტოხელა მშობელთა დამარება 150 ბენეფიციარი
- გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა 286 ბენეფიციარი
- სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება 53 ბენეფიციარი

გრაფიკი #18



ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 1%-ი დაიხარჯა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 379.8.0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

<u>გრაფიკი #19</u>



<u>ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს:

- დაფინანსდა ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ - მომსახურებით ისარგებლა 25 318 ვიზიტორმა
- მომზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის 187 საკადასტრო და შენობა-ნაგებობის 2 ნახაზი.

გრაფიკი #20



07 00	**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**	**1 379.3**
07 01	თვითმმართველობის ქონების შეფასება, რეგისტრაცია, დაცვა და ბალანსზე აყვანა	141.2
07 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1 238.1

გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 311 089.4 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #21 და #22 გრაფიკებზე:

გრაფიკი #21



გრაფიკი #22


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლებში
არაფინანსური აქტივების ზრდა; 77206.9; 25%
ვალდებულებების კლება; 4965.4; 2%
შრომის ანაზღაურება; 100379.8; 32%
სხვა ხარჯები; 21897.1; 7%
სოციალური უზრუნველყოფა; 17034.5; 5%
საქონელი და მომსახურება; 58495.1; 19%
გრანტები; 648.5; 0%
პროცენტი; 7024.5; 2%
სუბსიდიები; 23437.6; 8%